



თბილისის ღია სასწავლო  
უნივერსიტეტი

## უნივერსიტეტის საქმიანობის წლიური ანგარიში

(2016-2017 სასწავლო წელი )

## 1. სასწავლო პროცესის ხარისხის სრულყოფა

#	გასატარებელი ღონისძიებების დასახელება	პასუხისმგებელი პირები	შესრულების მდგომარეობის აღწერა
1.1	საგანმანათლებლო პროგრამების და სილაბუსების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად სრულყოფა/მოდიფიცირება;	ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; სკოლის საბჭო. პროგრამის ხელმძღვანელები	<p>სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დარგის მიმართულებით არსებული სიახლეების პროგრამაში ასახვის და სტუდენტის მოთხოვნების დაკმაყოფილების, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალით უზრუნველყოფის მიზნით პროგრამების მოდიფიცირება განხორციელდა სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ: შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრების დასაწყისში (აკად. და წარმომადგენლობითი სენატის დადგენილებები: # 59 25.08.2016; #63 06.02.2017</p> <p>საანგარიშო პერიოდში:                      სილაბუსები გამდიდრდა ახალი ლიტერატურით საგანმანათლებლო პროგრამებს დაემატა რამდენიმე ახალი სასწავლო კურსი;                      გამოცხადდა აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსი;</p>
1.2	ახალი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავება და მისი დადგენილი წესით აკრედიტაცია	ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; სკოლის საბჭო. პროგრამის ხელმძღვანელები	<p>მედიცინის სკოლის აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის და დამსაქმებლების ჩართულობით, გამოკითხვისა და კვლევის საფუძველზე შემუშავდა ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამები:</p> <p>ა) სამკურნალო საქმე (ინგლისურენოვანი);</p> <p>ბ) სტომატოლოგია (ინგლისურენოვანი).</p>

პროგრამების ხელმძღვანელებად აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის მიერ დამტკიცდნენ: სამკურნალო საქმე (ინგლისურენოვანი)-თამარ ებანოიძე, თოუ-ს ასოცირებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი-

სტომატოლოგია (ინგლისურენოვანი)-ნანა მდინარაძე - თოუ-ს პროფესორი, მედიცინის დოქტორი. (რომელიც 27 ივნისის #70 დადგენილებით შეცვალა ნანა ციციშვილმა (თოუ-ს მოწვეულმა პერსონალმა)

პროგრამების დადგენილი წესით აკრედიტაციის მიზნით, ორივე პროგრამისთვის მომზადდა თვითშეფასების კითხვარი პროგრამის ხელმძღვანელების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების ჩართულობით და ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ იქნა წარდგენილი სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. პროცესი მიმდინარეობს.

**1.3** საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლება სკოლა; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;

პროგრამის კატალოგი განახლდა სკოლის, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეების: აბიტურიენტების, დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალისაგან უკუკავშირის საფუძველზე.

**1.4** აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადება და კვალიფიკაციის ამაღლება სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრი.

სასწავლო წლის განმავლობაში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად უნივერსიტეტმა ღია კონკურსი გამოაცხადა 2 ჯერ, რომელთა შედეგები გამოქვეყნდა უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 9 სექტემბრის N02-121 და 2017 წლის 10 მარტის N02-030 ბრძანებებით. ღია კონკურსის მეშვეობით აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ იქნენ პროფესორები, ასოცირებული პროფესორები და ასისტენტ - პროფესორები შემდეგ მიმართულებებზე: 2 პროფესორი-ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით; 2 პროფესორი- ეკონომიკის მიმართულებით;

<p>1.5. სტრუქტურის ცვლილება</p>	<p>მმართველობითი საბჭო; სენატი; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური;</p>	<p>1 პროფესორი- სამოქალაქო სამართლის მიმართულებით;                  7 პროფესორი- ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით;                  2 პროფესორი- ინჟინერიის მიმართულებით;                  5 პროფესორი- მედიცინის მიმართულებით;                  5 ასოცირებული პროფესორი-ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით;                  2 ასოცირებული პროფესორი -სოციალური მეცნიერებების მიმართულებით;                  2 ასოცირებული პროფესორი- ინჟინერიის მიმართულებით;                  2 ასოცირებული პროფესორი-ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით;                  3 ასოცირებული პროფესორი -სამართლის მიმართულებით;                  11 ასოცირებული პროფესორი -მედიცინის მიმართულებით;                  5 ასისტენტ-პროფესორი-მედიცინის მიმართულებით.</p> <p>სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სტრუქტურული ცვლილებები: ჯანდაცვის მიმართულებით სტუდენტთა მომზადებისა და მათთვის შესაბამის სპეციალობებში კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით შეიქმნა ახალი საგანმანათლებლო ერთეული „მედიცინის სკოლა“ .                  შესაბამისად უნივერსიტეტში დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს 6 სკოლა:                  სამართლის სკოლა;                  ბიზნესის სკოლა                  ინჟინერიის სკოლა;                  ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა;                  ქუთაისის ჟურნალისტიკის და ფილოლოგიის სკოლა;                  მედიცინის სკოლა“                  უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: ექთნის თანაშემწე (მე-3 საფეხური) ; პრაქტიკოსი ექთანი (მე-5 საფეხური); ფარმაცევტის თანაშემწე (მე-5 საფეხური); კბილის ტექნიკოსი (მე-3</p>
---------------------------------	---	---

**1.6** სასწავლო პროცესში და უნივერსიტეტის მართვაში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება

სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური

საფეხური); მასაჟისტი (მე-3 საფეხური); ტუროპერატორი (მე-3 საფეხური); ინფორმაციული ტექნოლოგი(მე-3 საფეხური); ბუღალტერი (მე-3 საფეხური); საბაჟო წარმომადგენელი (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი) (მე-3 საფეხური); მცირე ბიზნესის მწარმოებელი (მე-4 საფეხური); ბანკის ოპერატორი (მე-5 საფეხური); სადაზღვევო აგენტი (მე-3 საფეხური) ; აუდიტორის ასისტენტი (მე-3 საფეხური) ; კრიმინალისტი (მე-3, 4, 5 საფეხური) ; ტუროპერატორი (მე-3 საფეხური); კბილის ტექნიკოსი (მე-3 საფეხური). გაუქმდა სტრუქტურული ერთეული : „პროფესიული განათლების ცენტრი“. მოდიფიცირებული სტრუქტურა დამტკიცა მმართველობითმა საბჭომ.

დაწესებულების მართვაში, ასევე, საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს: კომპიუტერები და ინტერნეტი დროის ნებისმიერ მონაკვეთში ხელმისაწვდომია როგორც აკადემიური პერსონალისათვის, ასევე სტუდენტებისათვის. 3 (სამ) კომპიუტერულ ლაბორატორიებში განთავსებულია 126 ცალი კომპიუტერი შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, რაც არსებული საგანმანათლებლო პროგრამების ადექვატურია.

სასწავლო პროცესის წარმართვისათვის გამოიყენება სათანადო ინვენტარი ადჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, საპრეზენტაციო დარბაზები, ლაბორატორიები იურიდიული კლინიკა და სასამართლო დარბაზი იმიტირებული პროცესების ჩასატარებლად და სხვა ლექციების ეფექტურად და თვალსაჩინოდ წარმართვის მიზნით გამოიყენება ყველა სალექციო ოთახში პროექტორები . საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობისა და დაწესებულების მართვისათვის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის პროგრამა. პროგრამით სარგებლობა შესაძლებელია ინტერნეტში

ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან, შესაბამისი მომხმარებლის სახელისა და პაროლის ცოდნის შემთხვევაში. მომხმარებლის სახელი და პაროლი ეძლევა თითოეულ სტუდენტს, პროფესორს და მომსახურე პერსონალს ინდივიდუალურად.

**პროგრამის საშუალებით:**

სტუდენტი ეცნობა საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალს, ეცნობა სემესტრის განმავლობაში მის მიერ არჩეულ საგნებში მიღებულ მიმდინარე და შუალედურ შეფასებებს, სტუდენტთა რეიტინგს, ცხრილებს, აკონტროლებს განვლილ სემესტრებში აღებულ კრედიტებს, ავსებს ანკეტა-კითხვარებს.

**პროფესორს** შეაქვს სტუდენტთა შეფასებები აქტივობების მიხედვით და აკონტროლებს მას.

**ადმინისტრაცია** ეცნობა სკოლების მიხედვით სტუდენტთა ანკეტურ და აკადემიურ მაჩვენებლებს, სხვადასხვა ტიპის სტატისტიკურ ინფორმაციას.

**„სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა“. მისი მეშვეობით ხდება:**

- ინტერაქცია (ადმინისტრაციას, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალსა და სტუდენტებს შორის);
- ინფორმაციის გავრცელება;
- online რეჟიმში შეუზღუდავი ურთიერთობა;
- სასწავლო პროცესთან და უნივერსიტეტში მიმდინარე აქტივობებთან დაკავშირებით ყველა საჭირო ინფორმაციის, განცხადების/ განმარტების/ცნობის და ა.შ მიღება;
- აქტივობების ჩვენება;
- დავალებების მიცემა და კონტროლი.

**სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი** სკოლების მიხედვით, ნებისმიერი ცვლილების შესაბამისად აახლებს ინფორმაციას პროფესორების, საგანმანათლებლო პროგრამების,

სასწავლო კურსების, სასწავლო კურსების კრედიტების ოდენობის, ცხრილებისა და ზოგადად, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ. გასცემს დიპლომის დანართებს

**სკოლის დეკანატი** ამზადებს და ატარებს გამოცდებს კომპიუტერულ ცენტრში ჩასატარებლად. ბეჭდავს საგამოცდო უწყისებს, სასწავლო ბარათებს.

**ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური** სტუდენტთა მიერ პროფესორების შეფასების მიხედვით აკეთებს სტატისტიკურ ანალიზს.

**საფინანსო სამსახური** - სკოლებისა და ჯგუფების მიხედვით შეაქვს მონაცემები გადახდების შესახებ და აკონტროლებს თითოეული სტუდენტის ფინანსურ დავალიანებას სასწავლებლის მიმართ.

დღეისათვის სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 6 სკოლა უნივერსიტეტში არსებული სტრუქტურული ერთეულები აღჭურვილნი არიან კომპიუტერებით, პრინტერებით და სხვა ტექნიკური საშუალებებით.

ყველა კომპიუტერშია სასწავლო პროცესის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა.

ყველა დეპარტამენტისა და სამსახურის კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტსა და შიდა ქსელში ინტერნეტს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში უზრუნველყოფს „კავკასუს ონლაინი“.

უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს ინტერნეტისა და სხვა საჭირო კომპიუტერული უზრუნველყოფის სერვისებით თავიანთი კვლევითი საქმიანობის კუთხით.

**1.7** პარტნიორული ურთიერთობების დასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა დამყარება საქართველოს მართვის დეპარტამენტი; ავტორიზებულ ხარისხის მართვისა და სტრატეგიული

ერთობლივი სამეცნიერო კვლევების და საგანმანათლებლო საქმიანობის, სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარების და შემდგომი დასაქმების მიზნით დამყარდა ურთიერთობა საქართველოს

<p>უნივერსიტეტებთან და დამსაქმებლებთან საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან</p>	<p>განვითარების სამსახური; საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური; პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური; კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრი.</p>	<p>ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და დამსაქმებლებთან (საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან). გაფორმდა ხელშეკრულებები/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ <b>კერძო ორგანიზაციებთან:</b> ტურისტული კომპანია „აღმოაჩინე საქართველო“ ს/ს „გუდვილი“ შპს „გურმანო“ შპს „ორი ნაბიჯი“</p> <p><b>საერთაშორისო და საჯარო ორგანიზაციებთან:</b> სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; სსიპ-სურსათის ეროვნული სააგენტო; სსიპ-საჯარო სამსახურის ბიურო; სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სახალხო დამცველის აპარატი; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო; ააიპ „საქართველოს ატლანტიკური საბჭო“.</p> <p><b>საქართველოს და უცხოეთის ავტორიზებულ უნივერსიტეტებთან:</b> თურქეთის ევრაზიის უნივერსიტეტი; ვარშავის ბოლესლავ პრუსის სახელობის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი; საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ) Georgian National University; ევროპის უნივერსიტეტი (European University); შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტი (Euroregion Teaching University ) ; სამეცნიერო პოტენციალის გაზრდის თვალსაზრისით და აგრეთვე აკადემიური პერსონალის და სტუდენტების კვლევებში მაქსიმალური ჩართულობის და შემდგომ მათი გამოცდილების გაზიარების მიზნით თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი თანამშრომლობს საქართველოს სხვადასხვა ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთანაც, ესენია: ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;</p>
--	---	---



**1.8** ბოლონის პროცესის მონაწილე უცხო ქვეყნების უნივერსიტეტებთან ერთობლივ პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა, სტუდენტთა და პედაგოგთა მობილობის პროცესის ხელშეწყობა

სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;  
ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური;  
საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;

გორის უნივერსიტეტი;  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;  
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი;  
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი;  
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი;  
შსს აკადემია.

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტების და პერსონალის ინტერნაციონალიზაციის განვითარების მიზნით თანამშრომლობს სხვადასხვა უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. ხელი მოეწერა თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს და ევრაზიის უნივერსიტეტს (თურქეთი) შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებას (Agreement for Collaboration ). ხელშეკრულება მოიცავს:

- სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლას;
- საბაკალავრო და სამაგისტრო გაცვლითი პროგრამების დანერგვას;
- ერთობლივი კონფერენციებისა და სემინარების მოწყობას;
- ინფორმაციის, სასწავლო მასალებისა და გამოცემების ურთიერთგაცვლას;
- ერთობლივი კვლევების წარმოებას.

**ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა**

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს მჭიდრო კავშირები აქვს ჩინეთის საგანმანათლებლო სივრცესთან და კულტურასთან თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტსა და ლანჯოუს უნივერსიტეტს (ჩინეთი) შორის ურთიერთგაგების მემორანდუმში გაფორმდა. ურთიერთგაგების მემორანდუმში ითვალისწინებს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გაცვლას, სხვადასხვა ტიპის ერთობლივ პროექტებს, კონფერენციებს და სხვა. 2015-2016 სასწავლო წლიდან ჩინური ენა სავალდებულო საგნად ისწავლება თოუ-ს საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამაზე. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტებს ჩინური ენის

შესწავლას უფასოდ სთავაზობს.. პროექტი საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მხარდაჭერით ხორციელდება. საუკეთესო სტუდენტებს კი ჩინეთში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა ეძლევათ. დღეისათვის ჩინეთში სწავლას ჩვენი უნივერსიტეტის რვა წარმატებული სტუდენტი აგრძელებს ჩინური მიმართულების მესამე კურსის სტუდენტი თამუნა გუშარაშვილი ერთწლიანი სასწავლო პროგრამით გაემგზავრება პეკინიში, პეკინის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლებლად, სადაც ის შეისწავლის ჩინურ ენასა და ლიტერატურას ერთი წელი. 2018-2022 წლებში კი ლანჯოუს უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამაზე შეისწავლის ჩინეთის ისტორიასა და კულტურას. ჩინური მიმართულების მესამე კურსის სტუდენტი ანი ხუციშვილი ერთწლიანი სასწავლო პროგრამით გაემგზავრება ლანჯოუს უნივერსიტეტში, სადაც შეისწავლის ჩინურ ენასა და ლიტერატურას ერთი წელი.

2018-2022 წლებში კი ლანჯოუს უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამაზე შეისწავლის ჩინეთის ისტორიასა და კულტურას.

2017 წლის აგვისტოში უნივერსიტეტის სტუდენტები კონფუცის კლასის დაფინანსებით გაემგზავრებიან ჩინეთში, კერძოდ, საზაფხულო ბანაკში 14 დღით. (ქ.პეკინსა და ქ. ლანჯოუში) საზაფხულო ბანაკი მოიცავს ჩინური ენის, ჩინური კულტურის და ჩინური საბრძოლო ხელოვნების სწავლებას.

2016 წლის 07 ნოემბერს ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე „ჩინეთის საგარეო პოლიტიკური კურსი და ურთიერთობა საქართველოსთან“ ლექციას უძღვებოდა დიპლომატი მამუკა გამყრელიძე

2017 წლის 11 თებერვალს გაიმართა ესეების კონკურსი“ ჩემი თვალით დანახული ჩინეთი „ სტუდენტებისთვის და სკოლის მოსწავლეებისთვის.

2017 წლის თებერვლიდან ფუნქციონირებს „ჩინური ენისა და კულტურის კლუბი“, იმართება ყოველკვიური შეხვედრები, რეზენტაციები, კალიგრაფიის ლექციები.

უნივერსიტეტი ჩინურ კომპანიებს თანამშრომლებისათვის სთავაზობს

ქართული ენის შესწავლას. აქტივობის მიზანია ქართული ენის პოპულარიზაცია. ამჟამად უნივერსიტეტში ჩინური კომპანიის - Huayuan Construction Company თანამშრომლები შეისწავლიან ქართულ ენას.

საქართველო- ჩინეთის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლისთავთან დაკავშირებით gbtimes Georgia-ს, ჩინეთის სავაჭრო პალატისა და 112-ის ორგანიზებით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს, თბილისის მერიის და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, 2017 წლის 12 მარტს ჩინური დღესასწაული ნერგების ფესტივალი აღინიშნება. ღონისძიების ფარგლებში ვაშლიჯვრისა და ნუცუბიდის მიკრორაიონების დამაკავშირებელ გზაზე (112-ის მიმდებარე ტერიტორია) 112 უნიკალური ჯიშის ნერგი დაირგა. ცერემონიაში მონაწილეობა მიიღო თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტმა.

**ნატო და ევროკავშირი**

უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს სსიპ - ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრთან. უნივერსიტეტის სტუდენტები ესწრებიან ცენტრის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებს და სტუმრებთან გასაუბრების შესაძლებლობაც ეძლევათ.

2017 წლის 20 მარტს უნივერსიტეტში გაიმართა ევროპარლამენტის დეპუტატის კაროლ ადამ კარსკის საჯარო ლექცია. 2017 წლის 29 მარტს თოუს სადისკუსიო კლუბის ორგანიზებით ჩატარდა შეხვედრა თემაზე: „საქართველოს ვიზალიბერალიზაცია და ევროინტეგრაცია“ კლუბის სტუმარი იყო ნატოსა და ევროკავშირის ცენტრის დირექტორის მოადგილე ბ-ნ გიორგი ფარეშიშვილი

2016 წლის 9 დეკემბერს საქართველოს ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელი დირექტორის გიორგი მუჩაიძეს ჩართულობით გაიმართა საჯარო ლექცია და გაფორმდა მემორანდუმი.

შეხვედრის მიზანი: სტუდენტების ინფორმირება ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის საქმიანობის,

		მიზნებისა და გეგმების შესახებ; საქართველოს სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესის მხარდაჭერა. ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის ფორმირება
<b>1.9</b>	განათლების საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობა	პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;
<b>1.10</b>	აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების დასხვა ანკეტირება, შედეგების ანალიზი და სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება, მათი გათვალისწინება და მონიტორინგი	<p>ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; სკოლა; პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;</p> <p>აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზისას გამოვლინდა შემდეგი სახის ტენდენციები, რომლებიც, კვლევის ჯგუფის წევრების აზრით, საჭიროებს გაუმჯობესებას/მოგვარებას:</p> <p><b>სტუდენტების მიერ:</b> <b>სასწავლო პროცესის შეფასება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სწავლების თანამედროვე მეთოდების გამრავალფეროვნება, მათ შორის ელექტრონული საშუალებების გამოყენების გაუმჯობესება</li> <li>• დასკვნით გამოცდებს შორის ინტერვალის გაზრდა</li> <li>• სახელმძღვანელოებზე მეტი ხელმისაწვდომობა</li> <li>• ლექტორის მხრიდან დაგვიანება</li> </ul> <p><b>სკოლის ადმინისტრაციის შეფასება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ადმინისტრაციის მუშაობა ძირითადად შეფასდა დადებითად და არ იქნა გამოთქმული პრეტენზიები</li> </ul> <p><b>სერვისების შეფასება</b></p> <p><b>ა) ელექტრონული პროგრამის შეფასება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საგნების არჩევისას ტექნიკური შეფერხება</li> <li>• სტუდენტთა სწავლის საფასურის გათვალისწინებით მათ მიერ ჩარიცხული თანხების ელექტრონული ხედვა (ფინანსური მოდულის</li> </ul>

დამატება პროგრამაში)

#### **ბ) ბიბლიოთეკის შეფასება**

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ამ ეტაპისათვის ბიბლიოთეკა, მკითხველთა უდიდესი ნაწილის აზრით, სრულად მოიცავს და აკმაყოფილებს მათ საჭიროებებსა და ინტერესებს; თუმცა შედეგების ანალიზი, ასევე, ცხადყოფს, რომ სასურველია ბიბლიოთეკამ გააქტიუროს მუშაობა შემდეგი მიმართულებით:

- განახორციელოს გარკვეული ტიპის აქტივობები ელექტრონული სამეცნიერო ბაზების მნიშვნელობასა და მისი პრაქტიკული გამოყენების მნიშვნელობაზე სწავლებისა და კვლევის პროცესში; უპრინციანია მომზადდეს ტრენინგ კურსი
- სასურველია ფონდებისა და კოლექციების გამრავალფეროვნებაზე ზრუნვა;
- სასურველია ეგზემპლარების რაოდენობის დამატება ან ელექტრონული შიდა საბიბლიოთეკო პროგრამის ინტენსიურად ამუშავება;
- პერსპექტივაში სასურველია ბიბლიოთეკის სამუშაო ფიზიკური სივრცის გაფართოება;
- ასევე პერსპექტივაში სასურველია კომპიუტერული ტექნიკის დამატება;
- სასურველია ყველა სახელმძღვანლოს ელექტრონული ვერსიის არსებობა

#### **გ) დაცვის სამსახურის შეფასება**

- დაცვის სამსახურის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით მეტი კადრის არსებობა

#### **დ) საფინანსო სამსახურის შეფასება**

- სწავლის საფასურის გადახდის შემთხვევაში სტუდენტ იღებდეს შეტყობინებას;
- მეტი კომუნიკაცია სტუდენტებთან

#### **ე) სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შეფასება**

• შეფასდა დადებითად

1.11	პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად ფინანსური გეგმის განახლება	საფინანსო სამსახური	განახლდა ფინანსური გეგმა.
1.12	საგანმანათლებლო პროგრამების ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშების მომზადება/შეესება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა	სკოლა; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;	თვითშეფასების ანგარიში ცალკეულ პროგრამებზე მომზადდა პროგრამის ხელმძღვანელების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების ჩართულობით და ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ თვითშეფასების კითხვარის სახით დადენილ ვადებში იქნა წარდგენილი სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში
1.13	სტუდენტთა მობილობა	სკოლა; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;	უნივერსიტეტმა განახორციელა შიდა და გარე მობილობები, ყველა პროცედურული დეტალის გათვალისწინებით. დადგინდა და გამოცხადდა კვოტები, მომზადდა შესაბამისი შედარების აქტები და გადაწყვეტილებები. სტუდენტებმა მიიღეს ინფორმაცია შედეგების შესახებ.
1.14	საბაკალავრო პროგრამებზე აბიტურიენტთა მიღების შესახებ ანკეტა-კითხვარის და სამაგისტრო პროგრამებზე აბიტურიენტთა მიღების შესახებ ანკეტა-კითხვარის წარდგენა	სენატი; მმართველობითი საბჭო; სკოლა; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;	საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე განაცხადების გაკეთება უნივერსიტეტის მიერ ხორციელდება ყოველწლიურად, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში. 2016-2017 სასწავლო წელს ინფორმაცია შეესებოდა ანკეტა-კითხვარის სახით (როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო) გადაეგზავნა სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (დადგენილება #61 12.12.2016 -თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის მიერ 2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ანკეტა -კითხვარის დამტკიცების შესახებ და დადგენილება #63 06.02.2017 2016/2017 სასწავლო წლისათვის მაგისტრატურაში მისაღებ პროგრამებზე სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის და მაგისტრატურის სპეციალური ანკეტა -კითხვარის დამტკიცების შესახებ)

**2. სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა**

გასატარებელი ღონისძიებების დასახელება	პასუხისმგებელი პირები	შესრულების მდგომარეობის აღწერა
<p><b>2.1</b> უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება</p>	<p>მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტი ; რექტორი ; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; საფინანსო სამსახური; სამეურნეო-ტექნიკური სამსახური;</p>	<p>დასრულდა უნივერსიტეტის კორპუსის მშენებლობა ქ. თბილისში უნივერსიტეტის ქ. N2-ში.</p> <p>უნივერსიტეტის სასწავლო შენობაში განთავსდა უახლესი თაობის აპარატურა, მოეწყო კაბინეტ-ლაბორატორიები, თანამედროვედ აღიჭურვება სალექციო აუდიტორიები, გაკეთდა საკონფერენციო დარბაზები, მოეწყო რეკრიაციული ზონები</p> <p>გადაიარაღდა უნივერსიტეტი ახალი კომპიუტერული ტექნიკით; უნივერსიტეტის ვებ გვერდს დაემატა ფუნქციები;</p> <p>სტუდენტთა სერვისის პროგრამა გამრავალფეროვნდა;</p> <p>გაიზარდა უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებით სამეცნიერო პროექტების რიცხვი;</p> <p>გაფართოვდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის საზღვერები; გამრავალფეროვნდა სოციალური პროექტები.</p>
<p><b>2.2</b> ბიბლიოთეკისათვის ლიტერატურის და პერიოდული გამოცემების ფონდის გამდიდრება/შევსება. სხვა ბიბლიოთეკებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება და ახალი, გადამუშავებული სილაბუსებით დადგენილი ძირითადი ლიტერატურის შექმნა</p>	<p>სკოლა; ბიბლიოთეკა; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; საფინანსო სამსახური;</p>	<p>სასწავლო უნივერსიტეტის წიგნადი ფონდი სრულადაა ასახული სერვერზე ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემაში „openbiblio” (<a href="http://www.openuni.edu.ge/openbiblio">http://www.openuni.edu.ge/openbiblio</a>), რომელიც ხელმისაწვდომია ინტერნეტის ქსელში ჩართული ნებისმიერი მომხმარებლისთვის.</p> <p>ბიბლიოთეკაში გაფორმებულია ხელმოწერა პერიოდულ გამოცემებზე.</p> <p>სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა 2011 წლიდან ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში და დარეგისტრირებულია საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საბიბლიოთეკო ქსელის, კონსორციუმის წევრად.</p> <p>სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების ელექტრონული ვერსიებით, ქსეროასლებითა და კომპაქტდისკებით.</p>

უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონული საკანონმდებლო მონაცემთა ბაზა „Codex“.

სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკათან. აღნიშნული მემორანდუმით უნივერსიტეტი უსასყიდლოდ ისარგებლებს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოყენო და საკონფერენციო დარბაზებით და ბიბლიოთეკათმორისი მომსახურების აბონემენტით.

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი დარეგისტრირებულია ასოციაცია საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საბიბლიოთეკო ქსელის, კონსორციუმის წევრად და მინიჭებული აქვს საინფორმაციო საშუალებათა გამოყენების უფლება, კერძოდ გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები:

Cambridge Journals Onlin (აღნიშნული ბაზა მოიცავს 360 დასახელების აკადემიურ ჟურნალს და 30 000-ზე მეტ ელექტრონულ წიგნს შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებში: ასტრონომია, ეკონომიკა მათემატიკა, პოლიტიკა შექსპირი კვლევები და სხვა)

Oxford Journals Collection (ბაზა გვთავაზობს წვდომას 324 დასახელების მაღალი ხარისხის ელექტრონულ ჟურნალზე მედიცინაში, სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში, მათემატიკასა და ფიზიკის მეცნიერებებში, სამართალში, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში. წვდომა შესაძლებელია 1996 წლიდან დღემდე გამოცემულ სამეცნიერო მასალებზე.)

BioOne Complete (ბაზა აერთიანებს 200 დასახელების ჟურნალს ბიოლოგიაში, ეკოლოგიასა და გარემოს შემსწავლელ მეცნიერებებში.)

e-Duke Journals Scholarly Collection (ბაზა ღია წვდომის საშუალებას იძლევა Duke University Press-მიერ გამოცემულ წიგნებსა და ჟურნალებზე . ეს გამომცემლობა ყოველწლიურად გამოსცემს 120 დასახელების ახალ წიგნსა და 50-ზე მეტ ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალს სხვადასხვა სამეცნიერო დარგში.)



Edward Elgar Publishing Journals and Development Studies (მოიცავს სამეცნიერო კვლევებს, მონოგრაფიებს, სახელმძღვანელოებს, ლექსიკონებს, ენციკლოპედიებს და ჟურნალებს სამართალში, ბიზნესში, ეკონომიკასა და სოციალურ მეცნიერებებში. მათ მიერ გამოცემულ ავტორებს შორის 14 ნობელის პრემიის ლაურეატია.)

IMechE Journals (ეს ბაზა მოიცავს სამეცნიერო ჟურნალებს სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში; ჯანდაცვისა და ბიოსამედიცინო სფეროებში, ინჟინერიისა და ფიზიკის მეცნიერებებში.)

IMF eLibrary (ბაზა აერთიანებს მსოფლიო მასშტაბით საერთაშორისო მონეტარული ფონდის მიერ ჩატარებულ კვლევებს, პერიოდულ გამოცემებს, სტატისტიკურ მონაცემებს ეკონომიკაში, ვაჭრობასა და დემოგრაფიაში საბაზრო პოლიტიკასა და სხვა მიმართულებებში.)

New England Journal of Medicine (აერთიანებს სამედიცინო მიმართულების ჟურნალებს, კარდიოლოგიაში, ენდოკრინოლოგიაში, გასტროენტეროლოგიაში, გენეტიკაში, ჰემატოლოგიაში, ონკოლოგიაში, ინფექციურ დაავადებებში, ნერვოპათოლოგიასა და სხვა არაერთ სამედიცინო მიმართულებაში).

Royal Society Journals Collection (მოიცავს ბიოლოგიის, ფიზიკისა და საინჟინრო-მათემატიკურ მეცნიერებებს, გარემოსა და კლიმატის შესახებ მიმართულებებს და სხვა.)

SAGE Premier (ბაზა მოიცავს სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების 900-ზე მეტი დასახელების ჟურნალს და 700,000-ზე მეტ პუბლიკაციას. ჩვენი მომხმარებლისათვის მასალებზე წვდომა შესაძლებელია 1999 წლიდან დღემდე გამოქვეყნებულ რესურსებზე.)

**2.3** ვებ-გვერდის სრულყოფა და სისტემატური განახლება საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური.

განხორციელდა ვებგვერდის ყოველწლიური მონიტორინგი და გასწორდა შეცდომები. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი. მიმდინარეობს ახალი ვებგვერდის შექმნა

2.4	ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობის მიმდინარეობა ქ. თბილისში (მის: უნივერსიტეტის N2)	მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტი; რექტორი; სამეურნეო-ტექნიკური სამსახური; საფინანსო სამსახური.	შენობა შევიდა ექსპლოატაციაში. შენობის საერთო ფართი მოიცავს 14 000 კვ.მ ტერიტორიას. აქედან დაახლოებით 9000 კვ.მ ეთმობა უნივერსიტეტის სასწავლო ფართს. შენობაში განთავსდა უახლესი თაობის აპარატურა, მოეწყო კაბინეტ-ლაბორატორიები, თანამედროვედ აღიჭურვა სალექციო აუდიტორიები, გაკეთდა საკონფერენციო დარბაზები, კვების ბლოკი და სხვ.
-----	--	---	--

### 3. სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობა

	გასატარებელი ღონისძიებების დასახელება	პასუხისმგებელი პირები	შესრულების მდგომარეობის აღწერა
3.1	უნივერსიტეტში სასწავლო-სამეცნიერო ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების და ოლიმპიადების ჩატარება	სამეცნიერო -კვლევითი ცენტრი; სკოლა; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;	<p>სასწავლო უნივერსიტეტის დაფინანსებით ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნეს-ადმინისტრირების მიმართულების სტუდენტებმა.</p> <p>კონფერენციის ფარგლებში დამუშავდა შემდეგი თემები:</p> <p>მიმართულება: ბიზნესი და ინჟინერია</p> <p>1.მელიქიშვილი ნათია - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება თემა: 2008 წლის ფინანსური კრიზისი და საქართველო თემის ხელმძღვანელი: რუსუდან კვარაცხელია</p> <p>2.მარი გოცაძე - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება თემა: სიღარიბე და სოციალური პოლიტიკა თემის ხელმძღვანელი: ნინო გრიგოლაია</p> <p>3.მარიამ ნაკაშიძე - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი თემა: მყიდველის ქცევა სამომხმარებლო ბაზარზე თემის ხელმძღვანელი: მარინე ალანია</p> <p>4.ანანო ცირამუა - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:</p>

- ფინანსები და საბანკო საქმე  
 თემა: სურსათის უვნებლობა და ემულგატორები  
 თემის ხელმძღვანელი: რუსუდან კვარაცხელია
5. შორენა ბერულავა - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:  
 ფინანსები და საბანკო საქმე  
 თემა: ორგანული პროდუქტების ეკონომიკური და ლოჯისტიკური ანალიზი (ქართული ღვინის მაგალითზე)  
 თემის ხელმძღვანელი: ნათია ბუთხუზი, რუსუდან კვარაცხელია
6. ანა ბაიაშვილი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება  
 თემა: საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარება  
 თემის ხელმძღვანელი: ეთერ კაკულია
7. ნანა დანელია - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება  
 თემა: ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზარი და მისი ფუნქციონირების თავისებურებანი  
 თემის ხელმძღვანელი: დალი მაგრაქველიძე
8. ლელა ყურაშვილი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: საგადასახადო-საბაჟო საქმე  
 თემა: დაბეგვრის ზოგიერთი პრობლემური საკითხი და საერთაშორისო გამოცდილება  
 თემის ხელმძღვანელი: გონერ ურიდია
9. ქეთევან ხოსრიაშვილი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი  
 თემა: საქართველოს რეკრეაციული ბაზრის კვლევა  
 თემის ხელმძღვანელი: ნელი მაღალაშვილი
10. მაია მაჭავარიანი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:  
 ფინანსები და საბანკო საქმე  
 თემა: ფასიანი ქაღალდების ბაზარი

თემის ხელმძღვანელი: დალი მაგრაქველიძე

11. რაულ კოჩალიძე - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:  
ფინანსები და საბანკო საქმე

თემა: საინვესტიციო გარემო და ინვესტიციების შეფასების ფაქტორული  
მოდელები

თემის ხელმძღვანელი: დალი მაგრაქველიძე

12. ნინო ჯანიაშვილი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:  
ბიზნესის ადმინისტრირება

თემა: ბიზნესის ორგანიზაცია ინტერნეტის ქსელში

თემის ხელმძღვანელი: ეკა აბესაძე

13. ქირია მარიამი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:  
ბიზნესის ადმინისტრირება

თემა: ინფორმაციული ტექნოლოგიები საბანკო სფეროში

თემის ხელმძღვანელი: ეკა აბესაძე

14. სურმანიძე თამილა - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:  
ბიზნესის ადმინისტრირება

თემა: ელექტრონული მმართველობა, როგორც სახელმწიფო მართვის  
ხარისხის გაუმჯობესების ინოვაციური მექანიზმი

თემის ხელმძღვანელი: ეკა აბესაძე

15. გიორგი ქასრაშვილი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:  
ფინანსები და საბანკო საქმე

თემა: კომპანიის შიგნაფორმო ფინანსური მენეჯმენტის სრულყოფის  
გზები

თემის ხელმძღვანელი: ნინო ლაზვიაშვილი

16. სოსო სოსელია - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:  
ბიზნესის ადმინისტრირება

თემა: თანამედროვე სადაზღვევო ბაზარი სააქართველოში

თემის ხელმძღვანელი: ნინო ლაზვიაშვილი

17. ავთო ჩხაიძე - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის

ადმინისტრირება

თემა: მმართველობითი ეთიკის სრულყოფა თანამედროვე ბიზნეს კომპანიებში

თემის ხელმძღვანელი: ნინო გრიგოლაია

18. ფარემუზაშვილი შორენა - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება

თემა: საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება

თემის ხელმძღვანელი: ნინო გრიგოლაია

19. მარიამ კალანდია - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი

თემა: ბიზნესის, ორგანიზციულ სამართლებრივი ფორმები საქართველოში

თემის ხელმძღვანელი: ეთერ კაკულია

20. მარიამ კახაძე - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი

თემა: მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

თემის ხელმძღვანელი: ეთერ კაკულია

21. მათა არაბული - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: საგადასახადო-საბაჟო საქმე

თემა: ანტიმონოპოლიური რეგულირებისა და კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში

თემის ხელმძღვანელი: ელენე ჩიქოვანი

22. მათა ნაზარაშვილი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: საგადასახადო-საბაჟო საქმე

თემა: სოციალური რეფორმები გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის საქართველოში

თემის ხელმძღვანელი: ელენე ჩიქოვანი

23. ანი ბაქრაძე - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა

თემა: სამგზავრო გადაყვანების მენეჯმენტი (მუნიციპალური ტრანსპორტის მაგალითზე)

თემის ხელმძღვანელი: ნათია ვაჭარაძე

24. ანი მალრაძე - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა

თემა: საწყობის როლი ლოგისტიკურ სისტემაში

თემის ხელმძღვანელი: ნათია ვაჭარაძე

25. თამარ ბარათაშვილი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა

თემა: საკონტეინერო გადაზიდვების ეფექტურად მართვის მეთოდები

თემის ხელმძღვანელი: ნათია ვაჭარაძე

26. ლაშა მაისურაძე - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა

თემა: ჰიბრიდული ავტომობილის საწვავის ხარჯის ფორმირების კანონზომიერებათა ანალიზი

თემის ხელმძღვანელი: ვალერი ჯაჯანიძე

27. განგა ჩიკვაძე - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა

თემა: მსუბუქი ავტომობილების სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება

თემის ხელმძღვანელი: ვალერი ჯაჯანიძე

მიმართულება: სამართალი

1. ქეთი ბოლქვაძე - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

სამართალმცოდნეობა

თემა: უდანაშაულობის პრეზუმფცია

ხელმძღვანელი: თეა შაყულაშვილი

2. გვანცა ბერუაშვილი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

სამართალმცოდნეობა

თემა: უღირს მემკვიდრესთან დაკავშირებული საკითხების  
სამართლებრივი რეგულირება

ხელმძღვანელი: ნინო ხუნაშვილი

3. მარიამ სართანია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:  
სამართალმცოდნეობა

თემა: ტრეფიკინგი

ხელმძღვანელი: არჩილ შეყლაშვილი

4. ნათია კირკიტაძე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:  
სამართალმცოდნეობა

თემა: დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

ხელმძღვანელი: არჩილ შეყლაშვილი

მიმართულება : ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები

1. ლალი კიკილაშვილი - საგანმანათლებლო პროგრამა - ინგლისური  
ფილოლოგია

თემა: ინგლისური რეალისტური რომანი და უილიამ თეკერეი

ხელმძღვანელი: კობა წურწუმია

2. მარიამ ჯანიაშვილი - საგანმანათლებლო პროგრამა - ინგლისური  
ფილოლოგია

თემა: ო. ჰენრი და ამერიკული ნოველა

ხელმძღვანელი: კობა წურწუმია

3. ია ალავერდაშვილი - საგანმანათლებლო პროგრამა - ინგლისური  
ფილოლოგია

თემა: რევაზ თაბუკაშვილის შექსპირის სონეტების თარგმანი

ხელმძღვანელი: კობა წურწუმია

4. ანანო გიგინეიშვილი - საგანმანათლებლო პროგრამა - ინგლისური  
ფილოლოგია

თემა: დისკურსის სტრუქტურული თავისებურებანი

ხელმძღვანელი: სოფიო მორალიშვილი

5. მარიამ ჯაჭვაძე - საგანმანათლებლო პროგრამა - ინგლისური  
ფილოლოგია

თემა: ემოციათა გამოხატვის მექანიზმები ინგლისურ ენაში

ხელმძღვანელი: სოფიო მორალიშვილი

6. ლენა კეკელიძე - საგანმანათლებლო პროგრამა - ინგლისური ფილოლოგია

თემა: იმპლიციტური გამოთქმების კომუნიკაციური ინტენცია ინგლისურ და

ქართულ ენაში

ხელმძღვანელი: სოფიო მორალიშვილი

7. თეონა ტაბატაძე - საგანმანათლებლო პროგრამა - ინგლისური ფილოლოგია

თემა: თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ინგლისური ენის გაკვეთილზე

ხელმძღვანელი: სოფიო მორალიშვილი

8. მარიამ ნოზაძე - საგანმანათლებლო პროგრამა - ინგლისური ფილოლოგია

თემა: ფრაზეოლოგიზმი ფრეიმულ სემანტიკაში

ხელმძღვანელი: იზოლდა ჩხოზაძე

9. მათა ჯანჯღავა - საგანმანათლებლო პროგრამა - ინგლისური ფილოლოგია

თემა: ასპექტი ქართულ და ინგლისურ ენებში

ხელმძღვანელი: იზოლდა ჩხოზაძე

10. მარიამ გაჩეჩილაძე - საგანმანათლებლო პროგრამა - ინგლისური ფილოლოგია

თემა: ფრაზეოლოგიზმის ინგლისურ ენაში

ხელმძღვანელი: იზოლდა ჩხოზაძე

11. ნათია მეგულაშვილი - საგანმანათლებლო პროგრამა - ინგლისური ფილოლოგია

თემა: ანდაზები და მათი სემანტიკური კლასიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაში

ხელმძღვანელი: იზოლდა ჩხოზაძე



12. დიმიტრი ჯოხაძე - საგანმანათლებლო პროგრამა - ინგლისური ფილოლოგია

თემა: პოლარი, ბრიტანული სლენგის ერთ-ერთი სახეობა

ხელმძღვანელი: იზოლდა ჩხოზაძე

13. თამაზ გოგოლი - საგანმანათლებლო პროგრამა - საერთაშორისო ურთიერთობები

თემა: კონტროლირებადი ტერიტორიიდან უკონტროლო სივრცეში - ევროპული შეიარაღებული ძალების მხარდაჭერა სამხრეთ - დასავლეთ აზიის ოპერაციებში

ხელმძღვანელი: ქეთევან ჯიჯეიშვილი

14. ნინო მჭედლიძე - საგანმანათლებლო პროგრამა - ქართული ფილოლოგია

თემა: პაოლო იაშვილის პოეტური სამყარო

ხელმძღვანელი: ხატია შევარდნაძე

15. თამთა კაპანაძე - საგანმანათლებლო პროგრამა - ქართული ფილოლოგია

თემა: ტიციან ტაბიძე - ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიკოსები

ხელმძღვანელი: ხატია შევარდნაძე

**3.2** უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობა რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებში

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;

გაიმართა ყოველწლიური საუნივერსიტეტოშორისი კონფერენცია რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორია თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

**3.3** მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო პროექტების მომზადება და მათი წარდგენა დადგენილი

სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი; სკოლა; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური;

უნივერსიტეტი ჩართულია Erasmus+ საგრანტო კონკურსში, კერძოდ Jean Monnet მოდულის ქვეპროგრამაში, რომელიც უზრუნველყოფს ევროკავშირის კვლევების პოპულარიზაციას და სტუდენტთა საზოგადოების ინფორმირებულობას ევროპის მცოდნეობის მიმართულებით.

მოთხოვნების შესაბამისად

ამასთანავე Erasmus+ პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტი ჩართულია საერთაშორისო მობილობის პროექტში ვილნიუსის უნივერსიტეტთან ერთად

**3.4** აკადემიური პერსონალის და სტუდენტების მონაწილეობა კვლევებში სხვადასხვა მიმართულებით და საწიროების შემთხვევაში მათი დაფინანსება სამეცნიერო -კვლევითი ცენტრი; სკოლა; ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;

ამჟამად უნივერსიტეტში მუშავდება და დაფინანსება გაწერილი აქვს შემდეგ პრიორიტეტულ კვლევით პროექტებს (პროექტები წარდგენილ იქნა 2017 წელს)

1. არაერთგზისი დანაშაულისა და რეციდივის პრობლემა - ხელმძღვანელი - ალექსანდრე გიორგიძე. მონაწილეები - ნინო ქისტაური (კურსდამთავრებული); ოთარ კაცაძე (კურსდამთავრებული); თინათინ ჩილაშვილი (კურსდამთავრებული)
2. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები - ხელმძღვანელი - ნინო ხუნაშვილი; მონაწილეები - გვანცა ბერუაშვილი (კურსდამთავრებული); ბეგლარ მახარაძე (კურსდამთავრებული); თეონა ჯუხარაშვილი (კურსდამთავრებული).
3. ევროკავშირ - საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმების რისკები, გამოწვევები და პერსპექტივები - ხელმძღვანელი: მაია ამირგულაშვილი - მონაწილეები - დავით ჭინჭარაძე (კურსდამთავრებული); ბაჩო ჭაფანძე (კურსდამთავრებული); გივი ჭიხორია (კურსდამთავრებული)
4. რუსეთ-საქართველოს თანამედროვე ურთიერთობები და პერსპექტივები -ხელმძღვანელები: ეპიფანე გვენეტაძე, ზურაბ კვეციანიძე - მონაწილეები: ლია გულუა (კურსდამთავრებული); გიორგი ხოჯავა (კურსდამთავრებული); თამაზ გოგოლი (სტუდენტი)
5. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ინგლისური ენის სწავლებაში - ხელმძღვანელი: სოფო მორალიშვილი - მონაწილეები: ია ალავერდაშვილი (კურსდამთავრებული); ნათია მეგულაშვილი (კურსდამთავრებული)
6. მედიის კვლევა-რეიტინგი - ხელმძღვანელი: ნატო ონიანი - მონაწილეები: სალომე კუჭუხიძე (კურსდამთავრებული); თინა გოგოიაშვილი (კურსდამთავრებული); შორენა კურტანიძე (კურსდამთავრებული); დავით ხარაიშვილი (კურსდამთავრებული)

3.5

კვლევების საფუძველზე სახელმძღვანელოების მომზადება და მათი გამოცემა

სამეცნიერო -კვლევითი ცენტრი; სკოლა;

სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო ნაშრომების გამოცემების დაფინანსება.

სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია აკადემიურ პერსონალის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერ ნაშრომების გამოცემების დაფინანსება.

**საანგარიშო წელს გამოცემულია:**

1. ქეთევან მდინარაძე - ეკონომიკის ინფორმატიზაცია, თბ.2017
2. ეკა აბესაძე, ლ.ბეჟანაშვილი - MS-SQL სერვერის გარემოში მუშაობა / მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოებისათვის, თბ.2017
3. კობა ბუაძე - „სახელმწიფო, რელიგიისა და სამარლებრივი ურთიერთობის ზოგიერთ ასპექტში“.
4. მიხეილ მამნიაშვილი, თემურ მონიავა, ჯემალ გახოკიძე - „თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების რეალიზაციის პრობლემა ქართულ სისხლის სამართლის პროცესში“.
5. ნოდარ პაპუკაშვილი - „ მოსაზრება „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგიერთი ნორმის საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისობის თაობაზე“.
6. არჩილ შეყლაშვილი - „ ობიექტური შერაცხვის მოძღვრების ძირითადი პრინციპები“.
7. ამირან გიგუაშვილი - „იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპები ევროპული სამართლის მიხედვით“.
8. გიორგი გიგუაშვილი - „ოფშერული ბიზნესის უპირატესობები სამართლებრივ ჭრილში“.
9. თამაზ მაჩიტაძე - „ადამიანური რესურსების მართვის ახალი კონცეფცია მომსახურების სფეროში“.

**ჩაშვებულია გამოსაცემად**

საერთაშორისო ბიზნესის სამართალი-ზ.ამილახვარი; გ. ამილახვარი;

3.6	უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის მომზადება და პერიოდული გამოცემა	სამეცნიერო -კვლევითი ცენტრი; სკოლა;	გამოიცა უნივერსიტეტის პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი.
3.7	კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კურსების ორგანიზება	კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრი	საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში ჩატარდა ტრენინგები როგორც სტუდენტებისათვის ასევე თანამშრომელთათვის

**უნივერსიტეტის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის მომზადება/შეცხება**

	გასატარებელი ღონისძიებების დასახელება	პასუხისმგებელი პირები	შესრულების მდგომარეობის აღწერა
3.8	ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის მომზადება	<p>ხარისხის მართვისა და სტრატეგიული გავითარების სამსახური ; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; სკოლა;</p> <p>საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური;</p> <p>საფინანსო სამსახური;</p> <p>ბიბლიოთეკა;</p> <p>პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;</p> <p>საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;</p> <p>დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური;</p> <p>სამეურნეო-ტექნიკური სამსახური;</p> <p>სამეცნიერო- კვლევითი ცენტრი;</p> <p>კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრი.</p>	ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში მომზადდა ყველა სტრუქტურული ერთეულის, პროგრამის ხელმძღვანელების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების ჩართულობით და ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ თვითშეფასების კითხვარის სახით დადენილ ვადებში იქნა წარდგენილი სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (მაისი -ივნისი , 2017)

#### 4. უნივერსიტეტში სოციალური საკითხების სრულყოფა

	გასატარებელი ღონისძიებების დასახელება	პასუხისმგებელი პირები	შესრულების მდგომარეობის აღწერა
4.1	საგანმანათლებლო პროგრამების საფასური	მმართველობითი საბჭო; სენატი; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; საფინანსო სამსახური;	2016-2017 სასწავლო წელს ყველა საბაკალავრო პროგრამის საფასური გახდა 2250 ლარი. გასულ სასწავლო წელთან შედარებით წლიური 290 ლარით შემცირდა სწავლის საფასური სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამისთვის; 100 ლარით შემცირდა შემდეგი საბაკალავრო პროგრამების საფასური: ჟურნალისტიკა; საერთაშორისო ურთიერთობები; ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი.
4.2	თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესება	თავმჯდომარე; რექტორი ; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; საფინანსო სამსახური;	გაუმჯობესდა თანამშრომელთა სამუშაო პირობები. ახალ თანამედროვე ინფრასტრუქტურის შენობაში სამუშაო სივრცე გახდა ნათელი, კეთილმოწყობილი და ყველა საჭირო ინვენტარით აღჭურვილი.
4.3	მაღალი რეიტინგის მქონე სტუდენტებისათვის სტიპენდიების დანიშვნა	თავმჯდომარე; რექტორი ; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; სკოლა.	მაღალი რეიტინგის მქონე 10 სტუდენტს დაენიშნა სტიპენდია;
4.4	სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსება ექსკურსიების, სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად უნივერსიტეტის ფინანსური გეგმის შესაბამისად	თავმჯდომარე; რექტორი ; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; საფინანსო სამსახური;	მოეწყო ექსკურსიები, დაფინანსდა სტუდენტური უნივერსიადის ფარგლებში მონაწილეობისათვის სპორტული გუნდები : ფუტზალში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, მკლავჭიდაობაში (ქალთა და ვაჟთა);
4.5	სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა	კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრი	კურსდამთავრებულები ჩართული არიან საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და შემუსავების პროცესში. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მიმდინარეობს ვაკანსიების მოძიება, მოლაპარაკებები პრაქტიკის ობიექტებთან

სტაჟირების თაობაზე.

**4.6** სტუდენტებისათვის უფასო მგზავრობის, სერვისის გაუმჯობესება და გაფართოება თავმჯდომარე; რექტორი ; სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; საფინანსო სამსახური;

### 5. საჯარო ლექციები და უნივერსიტეტის სტუმრები

	გასატარებელი ღონისძიებების დასახელება	პასუხისმგებელი პირები	შესრულების მდგომარეობის აღწერა
<b>5.1</b>	მოწვეული სტუმრის საჯარო ლექცია; დისკუსია აქტუალურ საკითხებზე.	პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;	2016 წლის 07 ნოემბერს ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე „ჩინეთის საგარეო პოლიტიკური კურსი და ურთიერთობა საქართველოსთან“ ლექციას უძღვებოდა დიპლომატი მამუკა გამყრელიძე
<b>5.2</b>	მოწვეული სტუმრის საჯარო ლექცია; დისკუსია აქტუალურ საკითხებზე.	პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;	2016 წლის 9 დეკემბერს საქართველოს ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელი დირექტორის გიორგი მუჩაიძეს ჩართულობით გაიმართა საჯარო ლექცია და გაფორმდა მემორანდუმი.
<b>5.3</b>	მოწვეული სტუმრის საჯარო ლექცია; დისკუსია აქტუალურ საკითხებზე.	პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;	2017 წლის 20 მარტს უნივერსიტეტში ევროპარლამენტის წევრს, საერთაშორისო სამართლის დოქტორს კაროლ ადამ კარსკის საჯარო ლექცია და მისთვის თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ცერემონია.
<b>5.4</b>	მოწვეული სტუმრის საჯარო ლექცია; დისკუსია აქტუალურ საკითხებზე.	პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;	ვარშავის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დირექტორის, საერთაშორისო სამართლის დოქტორის, ელზბიეტა კარსკას საჯარო ლექცია და მისთვის თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ცერემონია.

5.5	მოწვეული სტუმრის საჯარო ლექცია; დისკუსია აქტუალურ საკითხებზე.	პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;	2017 წლის 29 მარტს თოქს სადისკუსიო კლუბის ორგანიზებით ჩატარდა შეხვედრა თემაზე: „საქართველოს ვიზალიბერალიზაცია და ევროინტეგრაცია“ კლუბის სტუმარი იყო ნატოსა და ევროკავშირის ცენტრის დირექტორის მოადგილე ბ-ნ გიორგი ფარეშიშვილი.
5.6	მოწვეული სტუმრის საჯარო ლექცია; დისკუსია აქტუალურ საკითხებზე.		ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლანჯოუს უნივერსიტეტის პროფესორის რუმან ჩეს საჯარო ლექცია და მისთვის თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის წოდების მინიჭების ცერემონია.
5.7	სადღესასწაულო საღამო	პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;	თურქეთის ევრაზიის უნივერსიტეტის პრორექტორის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ისმაილ ისმაილოვის საჯარო ლექცია და მისთვის თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ცერემონია.